საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

N გ-19-03/3901
11/12/2019

3901-გ-19-03-2-201912111704

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის
პრევენციის ცენტრის" გენერალურ დირექტორს
ბატონ ლაშა კილაძეს

„რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის
უფლების მინიჭების შესახებ"
(პასუხი თქვენს № 69581-12/19, 10.12.19 წერილზე)

გაცნობებთ, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 47[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად არაავტორიზებულ პირს, რომლის საქმიანობა დაკავშირებული არ არის საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფასთან ან/და ამ ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიწოდებასთან, მაგრამ რომელიც საქმიანობისას საჭიროებს რადიოსიხშირეების დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებას, კომისია მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ანიჭებს რადიოსიხშირეებს დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით, დროებით – 1 წლის ვადით გამოყენებისათვის, რისთვისაც არაავტორიზებული პირი იხდის ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურს.

„რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების 7[1] მუხლის თანახმად არაავტორიზებულ პირს, დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისთვის (გარდა რადიოსარელეო ქსელის ან რადიოსარელეო ხაზის ერთი ან რამდენიმე მონაკვეთის გამოყენების მიზნით), კომისია მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ანიჭებს რადიოსიხშირეებს დროებით – 1 წლის ვადით, რისთვისაც პირი წინასწარ იხდის რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასურს, რომლის ოდენობა **ერთ სიხშირეზე შეადგენს 1000** ლარს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, გთხოვთ 10 სამუშაო დღის ვადაში წარმოგვიდგინოთ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის - **1000 ლარის** (1000 ლარი 1 სიხშირეზე) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი საბუთი (მიმღების დასახელება - სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; საიდენტიფიკაციო კოდი - 204953050;

ანგარიშის IBAN - GE33 TB70 2063 6070 1000 01; მიმღების ბანკი - სს თიბისი ბანკი; მიმღები ბანკის კოდი - TBCBGE22; დანიშნულება - რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასური არაავტორიზებული საქმიანობისთვის).

დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის მიერ განსაზღვრულ ზემოაღნიშნულ ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, უფლებამოსილი იქნება მიიღოს გადაწყვეტილება, თქვენი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

პატივისცემით,

კახი ბექაური

თავმჯდომარე
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია